<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, N002, 9.03.1996, გვ.15) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. სახელწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, ამ კანონის, საქართველოს მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების, სხვა შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების საფუძველზე.“.

2. მე-5 მუხლის:

ა) „1[1]“ პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქართველოს პრემიერ-მინისტრს, საქართველოს პრეზიდენტს და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს თანამდებობაზე განმწესების დღიდან ენიშნებათ პერსონალური დაცვა, რომელიც უნარჩუნდებათ 1 (ერთი) წლის ვადით უფლებამოსილების ვადის გასვლის ან უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ, თუ უფლებამოსილების შეწყვეტა არ არის საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის ან დანაშაულის ჩადენის შედეგი. საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობრივი უფლებამოსილების პერიოდში პერსონალური დაცვა ენიშნებათ აგრეთვე მათი ოჯახის წევრებს.“;

გ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „4[1]“ პუნქტი:

„4[1]. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით პერსონალური დაცვა შეიძლება დაენიშნოს/გაუგრძელდეს:

ა) საქართველოს პრემიერ-მინისტრს, საქართველოს პრეზიდენტს და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს თანამდებობრივი უფლებამოსილების ვადის გასვლიდან ან უფლებამოსილების შეწყვეტიდან 1 (ერთი) წლის გასვლის შემდეგ, თუ მათი უფლებამოსილების შეწყვეტა არ არის საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის ან დანაშაულის ჩადენის შედეგი და თუ არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება;

ბ) საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობრივი უფლებამოსილების ვადის გასვლის ან უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ, თუ უფლებამოსილების შეწყვეტა არ არის საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის ან დანაშაულის ჩადენის შედეგი, მათი ოჯახის წევრებს, თუ არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება;

გ) ამ მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სხვა დასაცავ პირებს და აგრეთვე მათი ოჯახის წევრებს აღნიშნულ პირთა თანამდებობრივი უფლებამოსილების ვადის გასვლის ან უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ, თუ უფლებამოსილების შეწყვეტა არ არის საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის ან დანაშაულის ჩადენის შედეგი და თუ არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ მათ ან მათი ოჯახის წევრების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება.“;

დ) მე-6 და მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური იცავს საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობებს, სამთავრობო რეზიდენციებს და სხვა მნიშვნელოვან ობიექტებს, მათ შორის საქართველოს აეროპორტებში სამთავრობო დელეგაციებისათვის განკუთვნილ დარბაზებსა და გასასვლელებს, რომელთა მომსახურების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

7. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დასაცავ პირთა და დაცვის ობიექტთა ნუსხები, აგრეთვე დაცვის დანიშვნა-გამოყოფის წესი და დაცვის განხორციელების პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ხოლო დაცვის მინიმალური სტანდარტები - საქართველოს მთავრობის განკარგულებით.“;

ე) მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:

„8. დაცვით სარგებლობის თაობაზე დასაცავი პირის გადაწყვეტილების შესაბამისად მის მიმართ შეიძლება შეწყდეს ან შეჩერდეს დაცვის ღონისძიებათა განხორციელება.“.

3. მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური თავის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აგრეთვე - საზღვარგარეთ, საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად.

2. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური წარმოადგენს ერთიან ცენტრალიზებულ სისტემას, რომლის შემადგენლობაში შედიან სამსახურის სტრუქტურული ერთეულები (მათ შორის აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების დანაყოფები) და სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი ორგანოები.“.

4. მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში სამსახურში იღებს მოქალაქეებს, ნორმატიული აქტით (ბრძანებით) განსაზღვრავს სამსახურის სისტემაში კანდიდატის მიღების წესს, თანამშრომელთა სამოხელეო ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებს, სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალ ორგანოებში სამსახურის გავლის პირობებს.“.

5. მე-8 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$დ^1$“ ქვეპუნქტი:

„$დ^1$) „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ კანონით განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში, დაცვის ღონისძიებათა განხორციელების ადგილებზე დასაქმებული, დროებით მყოფი ან/და სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვებული (დასაშვები) პირების შესახებ მოითხოვოს და მიიღოს დასაცავ პირთა და დაცვის ობიექტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭირო/აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტაცია შესაბამისი დაწესებულებებისაგან და პასუხისმგებელი პირებისაგან, რომლებიც ვალდებულნი არიან შეასრულონ სამსახურის კანონიერი მოთხოვნა მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა;“.

6. მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „3^1“ პუნქტი:

„3^1. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში:

ა) საკონტრაქტო-პროფესიულ ან/და კადრის სამსახურში შეიძლება მიღებული იქნეს პირი არაუმეტეს ამ კანონის 10^1 მუხლის მე-2 - მე-4 პუნქტების შესაბამისად ვადის გაგრძელებით დასაშვები ზღვრული ასაკის მიღწევისა;

ბ) ვადის გაგრძელებით დასაშვებ ზღვრულ ასაკს მიღწეული პირი სამსახურში შეიძლება მიღებული ან/და დატოვებული იქნეს მხოლოდ სამოქალაქო პირად, განუსაზღვრელი ვადით - საპენსიო ასაკის მიღწევამდე, ხოლო შემდეგ - განსაზღვრული ვადით.“.

7. მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თანამშრომელი სამსახურიდან შეიძლება დათხოვნილი იქნეს:

ა) ზღვრული ასაკის მიღწევისას ან წელთა ნამსახურობის გამო;

ბ) ჯანმრთელობის გაუარესების, დასახიჩრების ან ქრონიკული დაავადების დროს, რომლის გამოც მას აღარ შეუძლია სამსახურის გაგრძელება, აგრეთვე ისეთი ტრავმის მიღების ან დაავადების შემთხვევაში, რომელიც მას სამსახურისთვის შეუფერებელს ხდის;

გ) კონტრაქტით გათვალისწინებული ვადის გასვლისას, სამხედრო სავალდებულო სამსახურის ვადის გასვლისას;

დ) კონტრაქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის;

ე) სამსახურებრივი შეუსაბამობის გამო;

ვ) სამსახურებრივი დისციპლინის უხეში ან სისტემატური დარღვევისათვის;

ზ) შტატების შემცირებისას;

თ) საკანონმდებლო, აღმასრულებელ ან სასამართლო ორგანოებში არჩევისას ან დანიშვნისას;

ი) ფიცის გატეხის ან სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლისათვის შეუფერებელი საქციელის გამო;

კ) დანაშაულის ჩადენისათვის, კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე;

ლ) მხარეთა შეთანხმებით, პირადი პატაკის საფუძველზე;

მ) კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლისას;

ნ) გამოსაცდელი ვადის არადამაკმაყოფილებელი შედეგების საფუძველზე;

ო) სპეციალური შემოწმების შედეგებით უარყოფითი დასკვნის საფუძველზე;

პ) საპენსიო ასაკის გამო.“.

8. მე-15 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელი ვალდებულია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ შესაძლებლობის მიღებისთანავე შეატყობინოს თავის უშუალო უფროსს და სამსახურის სამორიგეო ქვედანაყოფს, რომელიც აღნიშნულ ინფორმაციას დაუყოვნებლივ აცნობებს სამსახურის ხელმძღვანელ პირებს და გადასცემს შეტყობინებას საქართველოს მთავარი პროკურატურის ცხელ ხაზზე.“.

9. მე-16 მუხლის:

ა) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელს ეკრძალება გაფიცვის ან სხვა სახის საპროტესტო აქციის მოწყობა და მასში მონაწილეობა, სამეწარმეო საქმიანობა, სახელმწიფო დაწესებულებებში ან სხვა ორგანიზაციებში შეთავსებით მუშაობა, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური, სპორტული ან შემოქმედებითი საქმიანობისა, ამ კანონის მე-8 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით და ამ მუხლის „7^1“ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა და სამედიცინო საქმიანობისა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სისტემაში ამავე სფეროში დასაქმების შემთხვევაში.“;

ბ) მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „7^1“ პუნქტი:

„7^1. პირი, რომელიც სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საკონტრაქტო სამსახურში იხდის სამხედრო ვალდებულებას, სამსახურის უფროსის ბრძანებით შეიძლება გათავსუფლდეს შეთავსებით მუშაობის შეზღუდვისაგან, სამსახურიდან თავისუფალ დროს.“.

10. მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „2^1“ პუნქტი:

„2^1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას განსაკუთრებულ გარემოებებში, კერძოდ, სამსახურის დასაცავ პირთა და დაცვის ობიექტთა უსაფრთხოების მიზნით ამ კანონის მე-8 მუხლის „დ“-„ვ“ ქვეპუნქტებით და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ღონისძიებათა განხორციელებისას, სამართალდარღვევის აღკვეთისას, დამნაშავის შეპყრობისას, საბრძოლო მოქმედებების დროს შეტაკებისას, სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით თავდასხმისას, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან/და ქონების გადარჩენისას მოსამსახურის დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების შემთხვევაში მის ოჯახს (მემკვიდრეს) სამსახურისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან,

სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობით და დაკრძალვის (საფლავის მოწყობის) ხარჯების ასანაზღაურებელი თანხა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. სამსახური ასევე ანაზღაურებს ნეშტის გადასვენებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.“.

მუხლი 2.

1. საქართველოს მთავრობამ ამ კანონის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 6 თვისა საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის წარდგინებით უზრუნველყოს „საქართველოს აეროპორტების სამთავრობო დარბაზებსა და გასასვლელებში ოფიციალური დელეგაციების, მაღალი რანგის თანამდებობის პირებისა და საპატიო სტუმრების მომსახურების წესის დამტკიცების თაობაზე“ და „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დასაცავ პირთა და დაცვის ობიექტთა ნუსხების, დაცვის დანიშვნა-გამოყოფის წესისა და დაცვის განხორციელების პირობების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილებების მიღება.

2. ამ კანონის ამოქმედებამდე მიმდინარე დაცვის ღონისძიებათა შემდგომი განხორციელების საკითხი დარეგულირდეს ამ კანონით განსაზღვრული ვადებისა და წესების დაცვით.

მუხლი 3.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**